სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) აკადემიური უმაღლესი განათლებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) განსაზღვრავს წინამდებარე პროგრამებზე გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების წესს.

2) წინამდებარე ინსტრუქცია ქმნის საფუძველს აკადემიის უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ჩამოყალიბდეს ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ერთიანი სტანდარტები და მოთხოვნები.

მუხლი 2. შეფასების ძირითადი პრინციპები

1) **სანდოობა** - სანდოა შეფასება იმ შემთხვევაში თუ, შეფასების შედეგები უცვლელია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს.

2) **ვალიდობა** - ესაა შეფასების მეთოდის მიზანთან შესაბამისობა. ვალიდურია შეფასება, თუ შემფასებელი ზუსტად აფასებს იმას, რის შეფასებასაც ისახავს მიზნად

3) **ობიექტურობა** - ობიექტურია შეფასება, როდესაც შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის სუბიექტურ დამოკიდებულებებზე. შეფასება უნდა ხორციელდებოდეს წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმებისა და მახასიათებლების - რუბრიკის მიხედვით.

4) **გამჭვირვალობა** - შეფასება გამჭვირვალეა მაშინ, როდესაც შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მუხლი 3. შეფასების სისტემა

1) ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებზე შეფასების სისტემა დაფუძნებულია მიღწევების შეფასების 100 ქულიან სისტემაზე.

2) სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

3) სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან ქულები გადანაწილებულია შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებებზე.

4) დაუშვებელია იუნკერის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასება ითვალისწინებს:

   ა) შუალედურ შეფასებებს;

   ბ) დასკვნით შეფასებებს.

5) შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს / კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

6) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს იუნკერის/მსმენელის (სტუდენტის) ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა,

პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

7) შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ);

8) შეფასების კრიტერიუმი არის შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

9) შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

10) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

11) ქულათა ინტერვალს/ბიჯს შორის დამრგვალება ხორციელდება არითმეტიკული დამრგვალების პრინციპით მაგ: 51 ქულიანი ბარიერის შემთხვევაში, 50.5 და მეტი მრგვალდება 51 ქულაზე, 60 ქულიანი ბარიერის შემთხვევაში, 59,5 და მეტი ქულა, მრგვალდება 60 ქულაზე. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება ნებისმიერი მიღებული ქულის შემთხვევაში.

12) საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება აკადემიაში დამტკიცებული საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციის მიხედვით.

13) სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება აკადემიაში დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციის მიხედვით.

14) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, შუალედური შეფასებისა (მოიცავს შუალედური გამოცდისა და მიმდინარე შეფასების ჯამს) და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილის ჯამი განისაზღვროს არანაკლებ 41 ქულით.

14[1]) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების IV კურსის სასწავლო კურსებში (თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - სამხედრო კომპონენტი) შუალედური და დასკვნითი შეფასებებისა და შეფასების თითოეული კომპონენტის (მათ შორის შუალედური გამოცდის) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 60%).

15) ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის როგორც შუალედურ და დასკვნითი შეფასების, ისე შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით.

16) სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებებისა და შუალედური შეფასების თითოეული კომპონენტის (მათ შორის შუალედური გამოცდის) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 51%.

17) კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი უფლებამოსილია სასწავლო კურსის სილაბუსში, გარდა ამ მუხლის მე-14[1] პუნქტში მოხსენიებული სასწავლო კურსებისა, დაადგინოს მოცემული წესისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

მუხლი 4. <u>გამოცდები და მათი ორგანიზების საკითხები</u>

1) გამოცდა წარმოადგენს იუნკერთა/მსმენელთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს,

რომლითაც, შუალედურ შეფასებებთან ერთად, დგინდება იუნკერის/მსმენელის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შედეგის მიღწევა.

2) ცალკეული სასწავლო კურსების გამოცდების ფორმას და ხანგრძლივობას ადგენს სასწავლო კურსის განმახორციელებელი, შესაბამისი სტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან და აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურთან შეთანხმებით.

3) აკადემიაში შესაძლებელია ჩატარდეს ორი ფორმის გამოცდა:

ა) წერითი (ღია და დახურული ტიპის კითხვები, ამოცანა, დავალება, თემა, ესსე და სხვა).

ბ) შერეული – ზეპირი და წერითი.

4) საკითხებს, გამოცდის როგორც წერითი, ისე ზეპირი ნაწილისათვის, გავლილი სასწავლო კურსის ფარგლებში, ადგენს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური /მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები, ინსტრუქტორები).

5) წერითი გამოცდა ქართულ ენაში მომზადების/საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ტარდება ელექტრონული კომპიუტერული პლატფორმის საგამოცდო მოდულის (ILIAS, Moodle და სხვა) გამოყენებით. აღნიშნულ გამოცდებზე კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს აკადემიის საგამოცდო ცენტრი.

6) ქართულ ენაში მომზადების/საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდის ზეპირი ნაწილის ჩატარება ხდება ვიდეო/აუდიო გადაღებით/ჩაწერით, რომელიც შეინახება აკადემიის საგამოცდო ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ინფორმაციის შენახვის ელექტრონულ საშუალებებზე.

7) ქართულ ენაში მომზადების/საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რაიმე ტექნიკური მიზეზით ან მეთოდური მოსაზრების გამო, თუ წერითი გამოცდა ვერ/არ ტარდება საგამოცდო მოდულის გამოყენებით, მაშინ გამოცდა ტარდება საგამოცდო ბილეთების გამოყენებით, საგამოცდო ცენტრში. ამ შემთხვევაში ქართულ ენაში მომზადების/საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგამოცდო ბილეთი მზადდება საგამოცდო ცენტრის მიერ.

8) დასკვნით გამოცდაზე დაშვებულ იუნკერთა/მსმენელთა სიას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული წარუდგენს საგამოცდო ცენტრს.

9) აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, საგამოცდო ცენტრი, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, G-3/G-2 სამსახური, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა უზრუნველყოფენ აკადემიის საგამოცდო ცენტრის შეტყობინების საფუძველზე დამკვირვებელთა გამოყოფას გამოცდების პერიოდში. დამკვირვებლების ინსტრუქტაჟს უზრუნველყოფს აკადემიის საგამოცდო ცენტრი.

10) საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამხედრო და სამოქალაქო განყოფილების უფროსები.

11) გამოცდების სწორად დაგეგმვის მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიის ბაკალავრიატი/მაგისტრატურა საგამოცდო ცენტრს აწვდის სასწავლო წლის დამტკიცებულ გეგმა-კალენდარს.

12) აკადემიის საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) ქართულ ენაში მომზადების და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგამოცდო ცხრილების მომზადებას გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, რომელსაც ხელს აწერს საგამოცდო ცენტრის უფროსი, ბაკალავრიატის ხელმძღვანელი, იუნკერთა სასწავლო ბატალიონის მეთაური, აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უფროსი და ამტკიცებს რექტორის მოადგილე.

ბ) მსმენელთა განთავსების გეგმის (საგამოცდო აუდიტორია, გამოცდის დრო და საგამოცდო კომპიუტერის IP მისამართი ყოველი იუნკერისათვის) მომზადებას და

გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა მის მიწოდებას იუნკერთა სასწავლო ბატალიონზე.

13) მაგისტრატურა უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგამოცდო ცხრილების მომზადებას გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, რომელსაც ხელს აწერს მაგისტრატურის ხელმძღვანელი, აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უფროსი, საგამოცდო ცენტრის უფროსი და ამტკიცებს რექტორის მოადგილე.

მუხლი 5. იუნკერის/მსმენელის **დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები, შუალედური/დასკვნითი გამოცდის პროცედურა და იუნკერის**/მსმენელის **სემესტრული შეფასება**

1) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს/მსმენელს, რომელსაც უკვე მიღებული შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.

1¹) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების IV კურსის სასწავლო კურსებში (თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - სამხედრო კომპონენტი) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც უკვე მიღებული შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 60 ქულა.

2) გამოცდის დაწყებამდე იუნკერთა სასწავლო ბატალიონი/მაგისტრატურა, საგამოცდო ცენტრს აწვდის სამწყობრო ბარათს, რომელშიც მითითებული იქნება სიით და სახეზე (გამოცდაზე გამოცხადებული) არსებული პირადი შემადგენლობის მონაცემები, ასევე გამოცდაზე არყოფნის მიზეზი (საპატიო, არასაპატიო).

3) მიმდინარე შეფასებების უწყისები ივსება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ და ბაკალავრიატის/მაგისტრატურის იუნკერის/მსმენელის შემთხვევაში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, გადაეცემა საგამოცდო ცენტრს დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე.

4) იუნკერთა/მსმენელთა სემესტრული აკადემიური მოსწრება აისახება აკადემიური მოსწრების კრებსით მონაცემებში, რომელიც სრულდება თითოეული სასწავლო ჯგუფისათვის. კრებსით მონაცემებში აისახება პროგრამით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის / მოდულის მიმდინარე შეფასებების ჯამური ქულა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულა, შუალედური შეფასების ჯამური ქულა, გამოცდის თითოეულ ნაწილში (დახურული და ღია კითხვები, პრაქტიკული დავალება, პრეზენტაცია და სხვა) მიღებული ქულების მითითებით, ასევე აკადემიური მოსწრების საშუალო სემესტრული ქულა. (დანართი 1 - აკადემიური მოსწრების კრებსითი მონაცემები, ნიმუში).

ა) აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერენ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, საგამოცდო ცენტრის უფროსი და შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირი.

ბ) აკადემიური მოსწრების საშუალო სემესტრული ქულა წარმოადგენს იუნკერის/მსმენელის მიერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში თითოეულ სასწავლო კურსში/მოდულში (საგანში) მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელს. ის გამოითვლება თითოეულ საგანში მიღებული სემესტრული შეფასებისა და საგნის კრედიტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქულის გამოთვლის მიზნით, ყოველი საგნის სემესტრული შეფასება მრავლდება საგნის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა მოცემული სემესტრის საგნების კრედიტების ჯამზე. აკადემიური მოსწრების კრებსითი მონაცემები წარმოადგენს ნომენკლატურული აღრიცხვის დოკუმენტს.

5) გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების ან მასთან დაკავშირებული სხვა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, იუნკერმა/მსმენელმა აღნიშნულის შესახებ უნდა მიმართოს გამოცდის დამკვირვებელს, რომელიც ვალდებულია აღნიშნული პრეტენზია დააფიქსიროს გამოცდის შენიშვნების ფურცელში (დანართი №2).

6) გამოცდის შედეგების უკმაყოფილების შემთხვევაში / შეფასების გასაჩივრების მიზნით ქართულ ენაში მომზადებისა და მაგისტრატურის მსმენელს, ასევე ბაკალავრიატის იუნკერს შეუძლია წერილობითი ფორმით კურსის უფროსის შუამდგომლობით მიმართოს სასწავლო ბატალიონის მეთაურს / მიმართულების უფროსის შუამდგომლობით მაგისტრატურის ხელმძღვანელს შედეგების გამოცხადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7) გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო მასალაში აღმოჩენილი ხარვეზის შესახებ იუნკერის/მსმენელის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას გამოცდის დამკვირვებელი აფიქსირებს, ასევე გამოცდის შენიშვნის ფურცელში (დანართი №2).

8) საგამოცდო ცენტრი შენიშვნების ფურცელს გადასცემს ბაკალავრიატს/ მაგისტრატურას, რათა მოხდეს აღნიშნული საკითხის განხილვა საპრეტენზიო კომისიის მიერ.

მუხლი 6. დამატებითი და აღდგენითი გამოცდები

1) დამატებითი გამოცდები იგეგმება დასკვნითი გამოცდების შეფასების შემდეგ. გამოცდები ტარდება იმავე ფორმატით, როგორც ჩატარდა დასკვნითი გამოცდა.

2) იუნკერს/მსმენელს უფლება აქვს, გავიდეს დასკვნითი გამოცდის **დამატებით გამოცდაზე** სასწავლო კურსში **FX** შეფასების მიღების შემთხვევაში ან/და იმ შემთხვევაში თუ ვერ გადალახავს დასკვნით გამოცდაზე დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და სასწავლო კურსში მისი შეფასება, დასკვნითი გამოცდის შედეგის გარეშე, არის არანაკლებ **FX (41 – 50 ქულა).**

2[1]) გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის გარემოებისა, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსზე დაწესებული 60%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში, იუნკერს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმ შემთხვევაშიც, თუ იუნკერი მიიღებს 51-დან 59-ის ჩათვლით შეფასებას.

3) დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. იუნკერის/მსმენელის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

4) დასკვნითი გამოცდის **დამატებით გამოცდაზე** მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში **0-50** ქულის მიღების შემთხვევაში, იუნკერს უფორმდება უარყოფითი შეფასება და იუნკერის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიის აკადემიური საბჭო.

4[1]) გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის გარემოებისა, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსზე, 60%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის გამო, დამატებით გამოცდაზე საბოლოო შეფასებაში 60 ქულამდე მიღების შემთხვევაში, იუნკერს უფორმდება უარყოფითი შეფასება და იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს

განიხილავს აკადემიის აკადემიური საბჭო.

5) აღდგენითი გამოცდები იგეგმება იუნკერის/მსმენელის მიერ საპატიო მიზეზით გამოცდის გამოტოვების შემთხვევაში. აღდგენითი გამოცდა ტარდება იუნკერის/მსმენელის აკადემიაში გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

6) შუალედური ან დასკვნითი გამოცდის არასაპატიო მიზეზით გაცდენისას იუნკერს/მსმენელს ეწერება 0 (ნული) ქულა. ამ შემთხვევაში დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი განისაზღვრება ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 7. საგამოცდო დოკუმენტაციის მომზადება

ქართულ ენაში მომზადების/ბაკალავრიატის/მაგისტრატურის იუნკერების/მსმენელების საგამოცდო დოკუმენტაციის მომზადება ხორციელდება ,,სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩასატარებელი გამოცდებისათვის განსაზღვრული საგამოცდო სკითხების აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების ორგანიზების შესახებ“ აკადემიის რექტორის 2021 წლის 13 აგვისტოს No 346 ბრძანებისა და აკადემიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 სექტემბრის იმავე სახელწოდების No 00914163 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 8. იუნკერთა/მსმენელთა გამოცდის მიმდინარეობა საგამოცდო ცენტრში

1) საგამოცდო აუდიტორიაში ერთ საგამოცდო მაგიდასთან უნდა განთავსდეს მხოლოდ ერთი იუნკერი/მსმენელი.

2) საგამოცდო აუდიტორიაში იუნკერი/მსმენელი დროულად იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს.

3) დაგვიანების შემთხვევაში იუნკერი/მსმენელი გამოცდაზე არ დაიშვება. იუნკერის/მსმენელის გამოცდაზე 5 წუთზე მეტით დაგვიანება დასაშვებია მხოლოდ დასაბუთებული მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

4) გამონაკლის შემთხვევაში დაგვიანებული იუნკერის/მსმენელის გამოცდაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგამოცდო ცენტრის უფროსი. გამოცდის დაწყებამდე დამკვირვებელი იუნკერებს/მსმენელებს ატყობინებს გამოცდის დაწყებისა და დამთავრების დროს.

5) პაროლის და მომხმარებლის სახელის აღდგენა გამოცდაზე არ მოხდება და იუნკერები/მსმენელები მოიხსნებიან გამოცდიდან. პაროლის და მომხმარებლის სახელის აღდგენა/გახსენება ხდება გამოცდის წინა დღეს, საგამოცდო ცენტრის დახმარებით.

6) საგამოცდო ცენტრში იუნკერი/მსმენელი ვალდებულია:

- ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ID ბარათი;
- არ გათიშოს ბრაუზერი;
- არ გათიშოს/არ დააპაუზოს ვიდეო რეგისტრატორი;
- არ გადატვირთოს კომპიუტერი;
- არ დააზიანოს ტექნიკა;
- არ გათიშოს უწყვეტი კვების წყარო (UPS);

- გამოცდის მსვლელობისას არ გათიშოს კომპიუტერი და არ გაწყვიტოს კავშირი ქსელთან. აღნიშნულის შემთხვევაში გამოცდა ჩაითვლება დასრულებულად და არ დაექვემდებარება აღდგენას;
- იუნკერი/მსმენელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისთანავე (პირველი კურსი, პირველი სემესტრი) საგამოცდო ცენტრში, პირველ გამოცდაზე შეცვალოს არსებული პაროლი და დააყენოს საკუთარი პირადი ნომერი პაროლად. აღნიშნული პაროლი იუნკერს/მსმენელს ექნება საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულებამდე (4/2 სრული კურსი);
- სამუშაო ფურცლად გამოიყენოს მხოლოდ, საგამოცდო ცენტრის მიერ დანომრილი ფურცელი, რომელიც დაურიგდება თითოეულ იუნკერს/მსმენელს, საჭიროების შემთხვევაში. გამოცდის დასრულების შემდეგ, იუნკერი/მსმენელი ვალდებულია, დატოვოს დანომრილი სამუშაო ფურცელი საგამოცდო ცენტრში.

7) გამოცდის მსვლელობისას იუნკერს ეკრძალება:

- მყარ დისკზე შესვლა და გამოცდისთვის საჭირო პროგრამების გარდა სხვა პროგრამებით სარგებლობა;
- ILIAS/Moodle პლატფორმის გარდა სხვა საიტზე შესვლა;
- ეკრანზე განთავსებული ,,shortcut"-ების და აპლიკაციების (მიმმართველების) წაშლა/გამორთვა.
- პაროლის გადაცემა იუნკერის/მსმენელის მიერ სხვა იუნკერზე;
- ნებისმიერი სახის მანიპულაციები - პროგრამის ბრაუზერის იმ შესაძლებლობების გამოყენება, რაც არ ემსახურება გამოცდის ჩაბარებას (მაგალითად, Refresh, Inspect და ა.შ.) მეშვიდე პუნქტში ჩამოთვლილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში იუნკერი/მსმენელი ტოვებს გამოცდას და მიღებული შედეგი განულდება.

8) იუნკერს/მსმენელს ეკრძალება გამოცდისთვის არასაჭირო ნივთების (მობილური ტელეფონის, ჭკვიანი საათის, პლანშეტური კომპიუტერის, პეიჯერის და სხვა ელექტრო მოწყობილობების) შეტანა.

9) იუნკერს/მსმენელს ეკრძალება სენსორულ ეკრანზე თითით მუშაობა.

10) იუნკერი/მსმენელი ვალდებულია გამოცდის მსვლელობისას გამოიყენოს მხოლოდ ღილაკი ,,შემდეგი" ან ღილაკი ,,წინ". აკრძალულია სხვა ნებისმიერი სახის მანიპულაცია სწორი პასუხის მოპოვების მიზნით.

11) იუნკერი/მსმენელი ვალდებულია გამოცდის მოთხოვნების შესაბამისად შესრულებული ფაილი ატვირთოს ILIAS/Moodle-ის პლატფორმაში, აუტვირთავი ფაილი არ შემოწმდება.

12) ასატვირთი საგამოცდო ფაილები იუნკერმა/მსმენელმა უნდა ატვირთოს საგამოცდო დროის დამთავრებამდე, არანაკლებ 5 წუთისა.

13) იუნკერი/მსმენელი ვალდებულია გამოცდა დაასრულოს დამკვირვებელთან შეთანხმებით, საკუთარი „მომხმარებელი" (ექაუნთი) არ დატოვოს აქტიური. თუ აღმოჩნდება, რომ სრულად არაა აქვს გავლილი საგამოცდო მასალა, მას არ ექნება გამოცდის აღდგენის უფლება იმ მიზეზით, რომ მან შეცდომით/არასწორი მოქმედებით ადრე დაასრულა გამოცდა.

14) უწყვეტი კვების წყაროს (UPS)/კომპიუტერის ავარიული გამორთვის შემთხვევაში, იუნკერი/მსმენელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს გამოცდის მეთვალყურეს.

15) იუნკერის/მსმენელის მიერ საგამოცდო მასალის არამართლზომიერი მოპოვების ან გადაწერის მცდელობის, გადაწერის, კარნახის ან გამოცდისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, რომელიც გამოვლინდება გამოცდის მიმდინარეობისას და რომელიც დადასტურდება სამეთვალყურეო კამერით გადაღებული კადრებიდან ან/და დამკვირვებლის პატაკით, ახსნა-განმარტებით ან/და განცხადებით, იუნკერი/მსმენელი მოიხსნება გამოცდიდან, მოხდება გამოცდისთვის განსაზღვრული ქულების განულება და საგამოცდო შეფასებად დაფიქსირდება ,,**0**". აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით შედგება საგამოცდო დისციპლინის დარღვევის ოქმი (დანართი № 3). ეს პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუკი გარკვეული მიზეზების გამო დარღვევის აღმოჩენა არ / ვერ მოხერხდება უშუალოდ გამოცდის მიმდინარეობის პროცესში და ზემოხსენებული გადაცდომები დაფიქსირდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების ანალიზის შედეგად.

ყოველი საგამოცდო სესიის (შუალედური და დასკვნითი გამოცდების) დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს საგამოცდო ვიდეო ჩანაწერების შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში შემდგომ ანალიზს, შერჩევითი წესით, ყოველი საგამოცდო აუდიტორიიდან სრული საგამოცდო დღის არანაკლებ სამი ჩანაწერისა თითოეულ მიმართულებაზე (სპეციალობაზე).

16) გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით იუნკერისათვის/მსმენელისათვის მიცემული შენიშვნები გამოცდის დამკვირვებლის მიერ ფიქსირდება შენიშვნების ფურცელში (დანართი №2). ორი შენიშვნის მიღების შემთხვევაში იუნკერი/მსმენელი იხსნება გამოცდიდან და ეწერება ნული ქულა.

17) იუნკერი/მსმენელი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო საგამოცდო წესებს.

18) საგამოცდო დისციპლინის დაცვის მიზნით გამოცდის მიმდინარეობისას ხორციელდება საგამოცდო პროცესზე დაკვირვება, რომელსაც ახორციელებენ დამკვირვებლები. საგამოცდო პროცესზე დაკვირვებას ახორციელებენ აკადემიის საგამოცდო ცენტრი, G-3/G-2 სამსახური, იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. დამკვირვებლები ვალდებულები არიან თვალყური ადევნონ იუნკერთა/მსმენელთა ქცევას გამოცდაზე და მისცენ შენიშვნა იუნკერს/მსმენელს საგამოცდო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ამავდროულად შენიშვნების ფურცელში (დანართი №2) კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. დამკვირვებლები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება დისციპლინის ან აღნიშნული დებულების მე-9 მუხლში დაფიქსირებული სხვა დარღვევის გამო იუნკერის/მსმენელის გამოცდიდან მოხსნის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში ასევე უნდა შედგეს საგამოცდო დისციპლინის დარღვევის ოქმი (დანართი № 3).

19) გამოცდის მიმდინარეობაში არ არიან ჩართულები იმ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელშიც ტარდება გამოცდა.

20) საგამოცდო ინსტრუქტაჟი ტესტის სტრუქტურასა და საგამოცდო დავალებების შესრულების წესთან დაკავშირებით გამოცდაზე არ ჩატარდება. აღნიშნული ინსტრუქტაჟი იუნკერებს/მსმენელებს ჩაუტარდებათ გამოცდის წინა კონსულტაციაზე.

მუხლი 9. გამოცდის შედეგების შეფასება

1) ქართულ ენაში მომზადების და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდის შედეგების შეფასება:

ა) წერითი გამოცდის ელექტრონული კომპიუტერული პლატფორმის გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში, გამოცდის ტესტური ნაწილის შეფასებას ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა, ხოლო წერითი დავალებების შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. შედეგები ჩამოიტვირთება ელექტრონული კომპიუტერული პლატფორმიდან და შეიტანება იუნკერთა აკადემიური მოსწრების კრებსით მონაცემებში.

ბ) საგამოცდო საკითხების გამოყენებით გამოცდის ჩატარებისას ტესტური ნაწილის შეფასება ხორციელდება საგამოცდო ცენტრში. წერითი დავალებების შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ და შედეგები გადაეცემა საგამოცდო ცენტრს. ტესტური ნაწილისა და წერითი დავალებების შედეგები ერთიანდება და შეიტანება იუნკერთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების კრებსით მონაცემებში.

გ) საგამოცდო ბილეთების გამოყენებით ჩატარებული გამოცდების წერითი ნამუშევრები და პასუხების ბარათები ინახება საგამოცდო ცენტრში კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

2) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდის შედეგების შეფასება:

ა) წერითი დავალებების შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის განმახროციელებლის მიერ და შედეგები გადაეცემა საგამოცდო ცენტრს. ტესტური ნაწილისა და წერითი დავალებების შედეგები ერთიანდება და შეიტანება იუნკერთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების კრებსით მონაცემებში.

ბ) საგამოცდო ბილეთების გამოყენებით ჩატარებული გამოცდების წერითი ნამუშევრები და პასუხების ბარათები ინახება საგამოცდო ცენტრში კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

3) საგამოცდო ბილეთების გამოყენებით ჩატარებული ზეპირი გამოცდა ხორციელდება ბაკალავრიატის/მაგისტრატურის მიერ. ზეპირ გამოცდას ატარებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი. გამოცდის ჩაწერა უნდა მოხდეს აუდიო/ვიდეო საშუალებით. ზეპირი გამოცდის ბილეთები და ვიდეო/აუდიო ჩანაწერი ინახება აკადემიის საგამოცდო ცენტრში იუნკერის/მსმენელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე. ზეპირ გამოცდას ესწრება სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/მიმართულების უფროსი, სასწავლო განყოფილების და საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი. გამოცდის შედეგები გადაეცემა საგამოცდო ცენტრს.

მუხლი 10. იუნკერის/მსმენელის ცოდნის მიღწევების შეფასება

1) იუნკერის/მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად;

2) კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

3) შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;

4) შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მუხლი 11. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

1) უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, დაიანგარიშება პროგრამის დამამთავრებელი საშუალო ქულა. ამ ქულის გამოთვლისათვის ყოველი საგნის სემესტრული ქულა მრავლდება საგნის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა პროგრამის საერთო კრედიტების ჯამზე. პროგრამის დამამთავრებელი საშუალო ქულის მიხედვით აკადემია კურსდამთავრებულებზე გასცემს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

ა) წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ იუნკერის/მსმენელის დიპლომის საშუალო ნიშანი (ე. წ. GPA) შეადგენს არანაკლებ 3,5-ს.

ბ) ყველა სასწავლო კურსში/კომპონენტში დადებითი შეფასება - ჩვეულებრივი დიპლომი.

2) საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ ითვლება დიპლომის GPA.

საშუალო ქულა	დიპლომის საშუალო შეწონილი ქულა GPA	შეფასება
95-100	4,00	A+
91-94	3,50	A
87-90	3,25	B+
84-86	3,00	B
81-83	2,75	B-
77-80	2,50	C+
74-76	2,25	C
71-73	2,00	C-
66-70	1,50	D
61-65	1,25	D-
51-60	1,00	E
41%-50%		FX
<41%		F

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2020-2021 სასწავლო წლის მეოთხე სემესტრის (მეორე კურსი) აკადემიური მოსწრების კრებსითი მონაცემები

ჯგუფი 191

1	ვვარი, სახელი	მაკროეკონომიკა										ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში										ოპერაციული მენეჯმენტი										მარკეტინგის საფუძვლები										საზოგადოებასთან ურთიერთობა										
		შუალედური კამეჩვა			[illegible]	დასკვნითი კამეჩვა			[illegible]	[illegible]	[illegible]	შუალედური კამეჩვა			[illegible]	დასკვნითი კამეჩვა			[illegible]	[illegible]	[illegible]	შუალედური კამეჩვა			[illegible]	დასკვნითი კამეჩვა			[illegible]	[illegible]	[illegible]	შუალედური კამეჩვა			[illegible]	დასკვნითი კამეჩვა			[illegible]	[illegible]	[illegible]	შუალედური კამეჩვა			[illegible]	დასკვნითი კამეჩვა			[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
		ტესტი	წერითი	ზეპირი		ტესტი	წერითი	ზეპირი				ტესტი	წერითი	ზეპირი		ტესტი	წერითი	ზეპირი				ტესტი	წერითი	ზეპირი		ტესტი	წერითი	ზეპირი				ტესტი	წერითი	ზეპირი		ტესტი	წერითი	ზეპირი				ტესტი	წერითი	ზეპირი		ტესტი	წერითი	ზეპირი				
		Max 20 ქ			Max 50 ქ	Max 30 ქ.			100			Max 20 ქ			Max 50 ქ	Max 30 ქ.			100			Max 20 ქ			Max 50 ქ	Max 30 ქ.			100			Max 20 ქ			Max 50 ქ	Max 30 ქ.			100			Max 20 ქ			Max 20 ქ	Max 40 ქ.			100			
1										B	4										5										4										F	5										4	
2										A	4										5										4										F	5										4	
3										B	4										5										4										F	5										4	
4										B	4										5										4										F	5										4	
5										B	4										5										4										F	5										4	
6										B	4										5										4										F	5										4	
7										B	4										5										4										F	5										4	
8										B	4										5										4										F	5										4	
9										B	4										5										4										F	5										4	
10										B	4										5										4										F	5										4	
11										B	4										5										4										F	5										4	
12										B	4										5										4										F	5										4	
13										B	4										5										4										F	5										4	
14										B	4										5										4										F	5										4	
15										A	4										5										4										F	5										4	
16										B	4										5										4										F	5										4	
17										A	4										5										4										F	5										4	
18										A	4										5										4										F	5										4	
19										C	4										5										4										F	5										4	
20										B	4										5										4										F	5										4	
21										B	4										5										4										F	5										4	
22										B	4										5										4										F	5										4	
23										B	4										5										4										F	5										4	
24										A	4										5										4										F	5										4	

| I | გვარი, სახელი | სამხედრო საქმე 3 | | |

შენიშვნების ფურცელი

სასწავლო კურსი/მოდული:

აუდიტორია:

თარიღი:

დრო:

№	გვარი , სახელი	კურსი	ოცეული	შენიშვნა			კომენტარი
				I	II	III	

დამკვირვებელი : 1.

2.

დანართი № 3

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურზე
გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის დანართი

საგამოცდო დისციპლინის დარღვევის
ო ქ მ ი

_____ სასწავლო წელი _____ სემესტრი

სასწავლო კურსი/მოდული:
გამოცდის ადგილი:
თარიღი და დრო:
დისციპლინის დამრღვევის
სახელი და გვარი:
სასწავლო ჯგუფი/ოცეული:

<u>**დისციპლინის დარღვევის აღწერა :**</u>

ჩვენს მიერ დადგინდა ზემოთ აღნიშნული იუნკერის/მსმენელის მიერ საგამოცდო დისციპლინის დარღვევის ფაქტი

გამოცდის მეთვალყურე:

.....

წოდება, სახელი, გვარი ხელმოწერა